განკარგულება:**g-31. 31231784**
თარიღი:**27/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №40

2023 წლის 27 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილი ,,დ,ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 33-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირები, გაათავისუფლოს მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2022 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით დაკისრებული პირგასამტეხლოსგან კერძოდ:

ა) ლია კუპრაძე - მისი განცხადების საფუძველზე, (კანცელარიის ნომერი N19/302315027-30 30/05/2023 წ.) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 233730139) და ლია კუპრაძეს (პ/ნ 26001028145) შორის გაფორმებული 2020 წლის 17 სექტემბრის N2 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, რომლის ოდენობა შეადგენს – 1025 (ათას ოცდახუთი) ლარი.

ბ) მაია თურმანიძე - მისი განცხადების საფუძველზე, (კანცელარიის ნომერი N19/30231508-30 30/05/2023 წ.)

ბ.ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 233730139) და მაია თურმანიძეს (პ/ნ 61005004423) შორის გაფორმებული 2021 წლის 24 ივნისის N3 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, რომლის ოდენობა შეადგენს – 1530 (ათას ხუთას ოცდაათი) ლარი.

ბ.ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/ნ 233730139) და მაია თურმანიძეს (პ/ნ 61005004423) შორის გაფორმებული 2021 წლის 24 ივნისის N4 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, რომლის ოდენობა შეადგენს – 1530 (ათას

ხუთას ოცდაათი) ლარი.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი